

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №15

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

13. 08.2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, მალხაზ ცერცვაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა მაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 13-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2021 წლის 13 აგვისტოს ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „Ad Georgia“-სთვის (ს/კ 404987788) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.253) შპს „ბიგბორდი“-სთვის (ს/კ 405182305) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 6 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2021 წლის 13 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიადი კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „Ad Georgia“-სთვის (ს/კ 404987788) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს თანხმობას ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „Ad Georgia“-სთვის იჯარით, 3 თვის ვადით გადაცემაზე; იჯარის ღირებულება განისაზღვრება 100 ლარის ოდენობით;

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 13 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.253) შპს „ბიგბორდი“-სთვის (ს/კ 405182305) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 6 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს თანხმობას ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ბიგბორდი“-სთვის იჯარით, 6 წლის ვადით გადაცემაზე; იჯარის წლიური ღირებულება განისაზღვრება 365 ლარით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 13 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე